

ბიზნესისა და ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N10

თბილისი, 31 დეკემბერი 2021

ბიზნესისა და ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები:

1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი, მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი, მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი - **საბჭოს მდივანი**;
3. თამთა მიქაბერიძე - შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი, აფილირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი**;
4. თენგიზ თაქთაქიშვილი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი**;
5. ეკა გეგეშიძე - შპს - საქართველოს უნივერსიტეტი, პროფესორი, სამეცნიერო მიმართულებით კვლევების, სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი**;
6. ნატალია ხარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი**;
7. ვასილ კვიციანიძე - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი, ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი - **საბჭოს წევრი**;
8. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი - **საბჭოს წევრი**;
9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს - ევროპის უნივერსიტეტი, ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მენეჯმენტის მიმართულების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი**;
10. ქეთევან ჭიაბრიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი**;
11. ნათია დაღელიშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი - **საბჭოს წევრი**;

12. **მაკა ბულულაშვილი** - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი**;
13. **მამუკა თორია** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი**;
14. **სალომე სეხნიაშვილი** - სსკ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა“, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი - **საბჭოს წევრი**.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

1. ნინო გოგლიჩიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 22 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 14 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე -ჯიშკარიანმა საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი: მენეჯმენტის მიმართულების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის შესახებ საბჭოს წევრთა წინადადებების განხილვა მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებისთვის და დოკუმენტის დამტკიცებისთვის კენჭისყრა.

მოისმინეს:

ცენტრის წარმომადგენლის ნინო გოგლიჩიძის წინადადებები:

სწავლის სფეროს აღწერის მე-7 აბზაციდან მიზანშეწონილია ამოღებულ იქნეს ფორმულირება „რაც ბლუმის ტაქსონომიის მე-4 და მე-5 დონეებით გათვალისწინებულ კომპეტენციებს მოითხოვს.“

რადგან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ყველა საფეხურზე ტაქსონომიის ყველა დონეს მოიცავს.;

სწავლის შედეგების 1-ელ აბზაცში მოცემულ ფორმულირებაში „რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას,“ უმჯობესია სიტყვა სტუდენტი ჩანაცვლდეს „კურსდამთავრებულით“;

სასურველია, „სწავლება, სწავლა შეფასების 1-ელ აბზაცში მითითებული ფორმულირება „სამომავლოდ კომპეტენციების სრულყოფის გზებთან მიმართებით“, წინა წინადადებასთან ლოგიკური ბმის არარსებობის გამო, ამოღებულ იქნეს დარგობრივი მახასიათებლის პროექტიდან;

„სწავლება, სწავლა შეფასების“ ქვეთავის მეორე აბზაცში, 1-ლი წინადადება „სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს ზოგად მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ხელს უნდა უწყობდეს სპეციფიკური მასალის ათვისებასა და სტუდენტის ტრანსფერული უნარების განვითარებას,“ უმჯობესია მოდიფიცირდეს, რადგან ტექსტიდან არ იკვეთება რისი ზოგადი მიზნები იგულისხმება;

ასევე, დამატებითი ინფორმაციის ქვეთავში, მე-2 აბზაცში მოცემული ფორმულირება „ბლუმის კომპეტენციების ტაქსონომია“ აჯობებს შეიცვალოს ბლუმის ტაქსონომიით.

დაადგინეს:

საბჭომ გაიზიარა ნინო გოგლიჩიძის ყველა წინადადება, ხოლო „სწავლება, სწავლა შეფასების“ ქვეთავის მეორე აბზაცის 1-ლი წინადადება ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სპეციფიკური მასალის ათვისებასა და აგრეთვე, სტუდენტის ტრანსფერული უნარების განვითარებას.“

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი კენჭისყრაზე დააყენა მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების საკითხი. საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დოკუმენტის ამ ოქმის დანართი N1-ში მოცემული ფორმულირებით დამტკიცებას.

სხდომა დასრულდა 11:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე



ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი



საბჭოს მდივანი
ციური დურული

დანართი N1

მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
უმაღლესი განათლების I და II საფეხურები
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2021 წელი

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც მენეჯმენტის სფეროს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს.

მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი მენეჯმენტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეიძენს.

მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, სტუდენტების მობილობის, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარების, მენეჯმენტის პროფესიის დაუფლებისა და დასაქმების მხარდაჭერა.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია მენეჯმენტის ბაკალავრისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხების მისანიჭებლად საჭირო მინიმალური სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები და სხვა არსებითი მახასიათებლები. მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები, გარდა სარეკომენდაციო ხასიათისა (სწავლება-სწავლასთან, შეფასებასა და რესურსებთან მიმართებით), სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სადაც ხორციელდება მენეჯმენტის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

თითოეული განმახორციელებელი უფლებამოსილია, აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს შეისწავლოს მენეჯმენტი;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აქვს ინტერესი, თუ რა კომპეტენციები ექნება მენეჯმენტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისთვის, რომელიც გვიქმნის წარმოდგენას, თუ რა სახის კომპეტენციებს ითხოვს შრომის ბაზარი კურსდამთავრებულისგან და სურს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 5 წელი.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის სახელწოდებაა – The Subject Benchmark Statement of Management.

მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის შექმნის საჭიროება განაპირობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ.

II. სწავლის სფეროს აღწერა

მენეჯმენტი ორიენტირებულია ნებისმიერი ორგანიზაციის (კერძო, საჯარო) საქმიანობის მართვაზე, რათა არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციული გარემოდან გამომდინარე, შეზღუდვების პირობებში შესაძლებელი იყოს დასახული მიზნების მიღწევა. მისი მთავარი ამოცანაა ორგანიზაციაში თანამშრომლობის კოორდინაცია, რაც მოიცავს ორგანიზაციული პოლიტიკის შემუშავებასა და რესურსების სისტემატიზაციას, დაგეგმვას, ორგანიზებას, კონტროლს, კოორდინაციასა და ადამიანური რესურსების მოტივაციას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.

მენეჯმენტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები კვალიფიკაციის მფლობელისთვის უნდა უზრუნველყოფდეს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას შემდეგ სფეროებში:

- **ორგანიზაციები** - ორგანიზაციის ტიპები, სტრუქტურები, მართვის თეორიები, მიდგომები და ფუნქციები;
- **სტრატეგია**- ცვალებადი გარემოს შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად შემდეგი მიმართულებით: მდგრადობა, ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია, ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, ინოვაციები, ორგანიზაციის განვითარება, რესურსების განაწილება, ცოდნისა და რისკების მართვა.
- **ოპერაციები** - ოპერაციებისა და ხარისხის მართვა; მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი და ლოგისტიკა;

- **ადამიანური რესურსი** - ორგანიზაციის ფარგლებში ადამიანების მართვა-განვითარება, ქცევითი და ლიდერობის თეორიები და პრაქტიკა, ცნობიერების განვითარება მულტიკულტურულ ჭრილში;
- **ბაზრები** - ფინანსური, სასაქონლო და მომსახურების ბაზრების განვითარება და ოპერირება; მომხმარებლები: მომხმარებლების მოლოდინები, მომსახურება და მათზე ორიენტირებულობა; კონკურენტული გარემო, ბაზრის სტრუქტურა და ორგანიზაციის საქმიანობა;
- **ფინანსები** - დაფინანსების წყაროები, ფინანსური რესურსების გამოყენება და მართვა; ბუღალტრული აღრიცხვისა და ინფორმაციული სისტემების გამოყენება მართვასთან დაკავშირებულ ჭრილში;
- **ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიები** - შესაბამისი მოქმედი ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ცოდნა და გამოყენება ბიზნესსა და მენეჯმენტში.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს მენეჯმენტის სფეროში განათლების შინაარსს. თუმცა, არსებობს სხვა სფეროები, რომლებიც სპეციალიზებულ სასწავლო პროგრამებს შეესაბამება. მენეჯმენტის სფეროში, კონკრეტული სპეციალიზაციით განათლება აუცილებელია ითვალისწინებდეს ფუნქციურ (მაგალითად, ადამიანური რესურსები, მცირე და საშუალო ორგანიზაციების მართვა, მენეჯერული ეკონომიკა, ინოვაციები და სხვა აქტუალური საკითხები) და სექტორულ (მაგალითად, ჯანდაცვა, ხელოვნება, ზღვაოსნობა და ა.შ.) სპეციფიკას. მენეჯმენტის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში შესაბამისი საფეხურისთვის განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. ასეთი მიდგომის ფარგლებში, თითოეული შესაძლო ფუნქციური ან სექტორული სპეციფიკაციის არსებობის შემთხვევაში მიმდინარეობს სპეციალიზებული სწავლება გამოყენების სფეროს გათვალისწინებით.

მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის (ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი) მოსაპოვებლად საჭიროა კომპეტენციების მინიმუმ 50%¹ მენეჯმენტის სფეროდან იყოს ათვისებული, ხოლო დანარჩენი 50% შესაძლებელია იყოს გამოყენების სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციები ან/და ზოგადი კომპეტენციები.

საბაკალავრო პროგრამები მენეჯმენტში უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრს მენეჯმენტის სოციალურ, ეკონომიკურ და ეთიკურ ასპექტებთან მიმართებით, რომლებიც მოიცავს მართვის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გაცნობიერებას და, შესაბამის შემთხვევებში, უფრო ფართო, როგორც მომსახურეობის, ისე წარმოების სფეროებსაც.

¹ საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) 50%-ზე მეტია

სამაგისტრო პროგრამები მენეჯმენტში უზრუნველყოფს მენეჯმენტთან დაკავშირებულ სიღრმისეულ და სისტემურ კომპეტენციებს და კვლევის მეთოდების სწავლებას, რაც სადოქტორო პროგრამებზე სწავლებისთვის მომზადებასაც ითვალისწინებს. სამაგისტრო პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს ლიდერობის უნარის განვითარებასა და სტუდენტების მომზადებაზე მენეჯერულ ფუნქციებთან მიმართებით.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მახასიათებლების განსაზღვრა არა სასწავლო რესურსებთან, არამედ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მინიმუმთან მიმართებით, რომელიც დოკუმენტის III ნაწილშია მოცემული.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს. უსდ-ს შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- განმარტავს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებსა და ორგანიზაციულ გარემოზე მოქმედ ფაქტორებს;
- აღწერს ბიზნეს და ეკონომიკურ გარემოს, მიმდინარე მოვლენებს, პროცესებსა და ახდენს მათ ინტერპრეტაციას;
- მოიძიებს და აანალიზებს მონაცემებს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს შესახებ და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს;
- იყენებს ორგანიზაციის რესურსების მართვისთვის შესაბამის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- ამყარებს კომუნიკაციას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ქართულ და უცხო ენაზე;
- მონაწილეობს პროექტების, ოპერაციების და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში;
- განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში, ეთიკური პრინციპების დაცვით, ასრულებს მენეჯერულ ფუნქციებს.

- ახდენს როგორც საკუთარი, ისე სხვების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას და მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

მენეჯმენტის სწავლის სფეროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას შემდეგ სფეროებში: ორგანიზაციები, სტრატეგიები, ოპერაციები, ბაზრები, მარკეტინგი და გაყიდვები, ფინანსები, ადამიანური რესურსები და ორგანიზაციული ქცევა;
- განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და კოორდინაციას უწყვეს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს;
- შეიმუშავებს ბიზნეს მოდელებს, სტრატეგიებს, პროექტებს და ახდენს მათ განხორციელებასა და შეფასებას;
- ახდენს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოში გამოწვევების იდენტიფიცირებას, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით საპასუხო ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- აფასებს ბიზნესპროცესებს უწყვეტი განვითარების, რისკების, დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით;
- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას² აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით და ახდენს შედეგების არგუმენტირებულად დემონსტრირებას დაინტერესებულ მხარეებთან;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს;
- იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიულ განვითარებაზე.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

² აღნიშნული გულისხმობს კვლევითი ნაშრომის ან პროექტის შესრულებას.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები ხელს უწყობდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სპეციფიკური მასალის ათვისებასა და აგრეთვე სტუდენტის ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლება-სწავლის მეთოდები და მათ მისადაგებული შეფასების მიდგომები და კრიტერიუმები სტუდენტის სწავლის შედეგებისა და დარგობრივ მახასიათებელთან ზოგადი შესაბამისობის დემონსტრირების საშუალებას უნდა იძლეოდეს. აღნიშნული უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულებასა და შესაძლებლობას მოთ ჩამოთვლილი მეთოდები სწავლა-სწავლებისა და შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა სასწავლო პროგრამით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და აგრეთვე, სხვა მეთოდები. უსდ-ები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკისა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების მხრივ არსებული მიღწევების გაზიარება/დანერგვის გზით.

მენეჯმენტის სფეროში სწავლების ფორმები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემდეგი გავრცელებული მეთოდებით:

- ვერბალური მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ჯგუფში მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობა;
- სწავლება კეთებით;
- სტაჟირება;
- შემთხვევის შესწავლა;
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- სიმულაციური სწავლება;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- კონსულტაციები;
- დისკუსია/ დებატები;
- პრეზენტაცია;
- ელექტრონული სწავლება;
- და სხვა.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს სრულყოფს. სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორცაა: წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება, პრაქტიკული მაგალითები, პროფესიული ანგარიშის შედგენა, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, წერილობითი დავალებების შესრულება, შემთხვევების ანალიზი, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა, კვლევითი ნაშრომის

დამოუკიდებლად მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე, ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით.

სტუდენტი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მის მიერ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ სიტუაციებში.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის განხილვებში მონაწილეობას, მშობლიურ ან უცხოურ ენაზე საჯარო პრეზენტაციების ჩატარებას, პროექტების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, ზეპირი და წერიტი დავალებების შესრულებას, გუნდში მუშაობის შეფასებას, სტუდენტთა ურთიერთშეფასებას, ანგარიშის მომზადებას და წარმოდგენას და სხვა.

შეფასებაში, საჭიროების შემთხვევებში, რეკომენდებულია გარე გამომცდელების ჩართულობა (მაგალითად, სხვა ფაკულტეტის პროფესორა).

V. დამატებითი ინფორმაცია

სამუშაო ჯგუფმა, ბლუმის ტაქსონომიის დონეებზე დაყრდნობით, საორიენტაციოდ შეიმუშავა ცხრილი თითოეული საფეხურის კომპეტენციების განსაზღვრისთვის. აღნიშნული კომპეტენციების ცხრილი წარმოადგენს სასურველი მინიმალური კომპეტენციების ჩამონათვალს, რომელიც დაეხმარება საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებს პროგრამების ჩამოყალიბების პროცესში.

მოსალოდნელი სწავლის შედეგების დონეები განსაზღვრულია ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად, დამახსოვრების, გაცნობიერების, გამოყენების, გაანალიზების, შეფასების, შექმნის ჭრილში და ასახულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1: მოსალოდნელი კომპეტენციები ბლუმის ტაქსონომიის დონეების მიხედვით მენეჯმენტის მიმართულების შესაბამის სფეროში საბაკალავრო საფეხურზე:

	დამახსოვრება	გაცნობიერება	გამოყენება	გაანალიზება	შეფასება	შექმნა

		1	2	3	4	5	6
მიწოდების ჯაჭვი	პროცესების და რესურსების მართვის პრინციპები ორგანიზაციისა და მათი მიწოდების მთლიანი ჯაჭვის ფარგლებში (მიმწოდებლიდან-მომხმარებლამდე);			X			
მარკეტინგი	მარკეტინგის პრინციპები			X			
ფინანსები და აღრიცხვა	ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ინსტრუმენტები; ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საფუძვლები; ფინანსური რესურსების მართვის პრინციპები.			X			
ადამიანური რესურსები	პერსონალის დაგეგმვა, მათი სამუშაოს ორგანიზება, პერსონალის განვითარება და მათთან შრომითი ურთიერთობების მართვა.			X			
შიდა და გარე გარემო	ორგანიზაციის მიკრო და მაკრო გარემო ფაქტორების იდენტიფიცირება და გაანალიზება.				X		
კვლევა და განვითარება	მონაცემების შეგროვება და ანალიზი; აკადემიური წერის ტექნიკები; ინოვაციების მართვის პრინციპები.			X			
მართვა და ორგანიზაცია	ორგანიზაციათა მართვის (სტრატეგიული, ოპერაციული და სხვა) პრინციპები; მართვის საინფორმაციო სისტემები; ორგანიზაციული ქცევის პრინციპები; პროექტების მართვის საფუძვლები.			X			

ცხრილი 2. მოსალოდნელი კომპეტენციები ბლუმის ტაქსონომიის დონეების მიხედვით მენეჯმენტის მიმართულების შესაბამის სფეროში სამაგისტრო საფეხურზე

		დამახსოვრება	გაცნობიერება	გამოყენება	განალიზება	შეფასება	შექმნა
		1	2	3	4	5	6
ლიდერობა	<ul style="list-style-type: none"> გუნდის მართვა, თვითმართვა და ცვლილებების მართვა. 					X	
კონტროლი	<ul style="list-style-type: none"> ფინანსებისა და ოპერაციებზე დაფუძნებული მმართველობითი კონტროლის სისტემები. 					X	
მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> ორგანიზაციული დაგეგმვა, ბიზნესპროცესები და ხარისხის მართვა; საერთაშორისო კონტექსტში ორგანიზაციული პროცესების და რესურსების მართვა მიწოდების ერთიანი ჯაჭვის ფარგლებში (მიმწოდებლიდან-მომხმარებლამდე); ინფორმაციის მართვის სისტემები. 					X	
მარკეტინგის მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> სტრატეგიული და საერთაშორისო მარკეტინგი; მარკეტინგული კვლევა; მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვა. 					X	

ფინანსური მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • კორპორაციული ფინანსების მართვა; • კაპიტალისა და ფულადი ბაზრები. 					X	
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსების დაგეგმვა, მართვის სტრატეგიები და განვითარება. 					X	
მენეჯერული კვლევის მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> • რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები მენეჯმენტში. 					X	
სტრატეგიული მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს და კორპორაციული სტრატეგია; • ცვლილებების მართვა; 						X
პროექტების მართვა	<ul style="list-style-type: none"> • პროექტის სასიცოცხლო ციკლის მართვის ტექნოლოგიები და მეთოდები. 						X
რისკებისა და კრიზისების მართვა	<ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციის შიდა და გარე რისკების მართვა. 					X	

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში მონაწილე პირები

6.1. დამმობილების პროექტის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ენ ლისტრა	ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	დამმობილების პროექტის ექსპერტი
2	სალომე ვირკუსი	ესტონეთის კვალიფიკაციების სამსახური	დამმობილების პროექტის ექსპერტი

3	ანდრეას კნორი	გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი	დამმობილების პროექტის ექსპერტი
---	---------------	--	-----------------------------------

6.2. სამუშაო ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება
1.	თენგიზ თაქთაქიშვილი	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (ს.ე.უ.);
2.	ლალი ჩაგელაშვილი	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
3.	ნათია ზედგინძე- ჯიშკარიანი	სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
4.	ეკატერინე ნაცვლიშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი
5.	მაკა ბულულაშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
6.	ერმილე მესხია	სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
7.	ციური დურული	ა(ა)იპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
8.	თამთა ვაშანიძე	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
9.	ნინო ენუქიძე	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
10.	გიორგი კეპულაძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
11.	მურთაზ კვიციანი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
12.	მედეა ტაბატაძე	საკონსულტაციო და რეკრუტინგული კომპანია „ინსორსი“
13.	ნინო პატარაია	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
14.	ნინო დამენია	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

15.	გიორგი წილოსანი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
16.	დავით ტეფნაძე	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
17.	ლევან ბარამიძე	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

6.3. ბიზნესისა და ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი	სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი, მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
2	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
3	თამარ ღამბაშიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
4	ნინო პატარაია	სიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის კვლევების ცენტრის და საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი
5	თამთა მიქაბერიძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი
6	თენგიზ თაქთაქიშვილი	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ,	ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელ
7	ნატალია ხარაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

8	ეკა გეგეშიძე	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	პროფესორი, სამეცნიერო მიმართულებით კვლევების, სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი
9	ვასილ კიკუტაძე	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი,	ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი
10	ერმილე მესხია	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი,	ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი
11	ეკატერინე ნაცვლიშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი,	ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი
12	ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე	შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
13	ქეთევან ჭიაბრიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.
14	ნინო სანადირაძე	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი
15	მამუკა თორია	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მენეჯმენტის საბაკალავრო

			პროგრამისა და საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
16	ნათია დაღელიშვილი	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
17	ხათუნა თოდაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მედიცინის დოქტორი, ვიცე – რექტორი, ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის მიმართულების ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
18	მაკა ბულულაშვილი	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი
19	გიორგი გამყრელიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შრომის ბაზრის ანალიზის განყოფილების უფროსი
20	სალომე სეხნიაშვილი	სსკ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა“,	ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი
21	თეონა კუპატაძე	სს "ლიბერთი ბანკი“,	ადამიანური კაპიტალის განვითარების მენეჯერი
22	სულხან სახვაძე	სს "ლიბერთი ბანკი“,	ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელი